სახალხო გაზეთი

№ 661 შაბათი, 28 ივლისი, 1912 წ. № 661

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი [illegible] 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ-ული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან** 5 კ.
„ „ **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში

კვირას, 29 ივლისს, დილის 11 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში გადაიხდიან პანაშვიდს **ჟურნალისტისა და პროფესორის**

ალექსანდრე სოლომონის ძის **ხახანაშვილის**

უდროოდ გარდაცვალების გამო, რასაც საზოგადოებას აუწყებენ ადგილობრივი სადროგამოშვებითო გამოცემათა თანამშრომელნი.

(2—1)

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხლის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი და ბავშვთა ავადმყ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ.-ავ. ქალთა (ქირურგ.-გინეკ.)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქ. ავ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.80)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ჰაიებზე დამყარებულ ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი"-ს,

გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობის წესდება უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს,

ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მანეთი აქვს.

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება **ქ. კავკავში.** გამგეობის დირექტორებად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე გოლდანის ძე ოგანოვი, გრიგორი გოლდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე პავილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდად (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

I. ნარდზე სავაჭრო საწყობებია:

კავკავში, გროზნაში, გეორგიევსკში, ტფილისში, ქუთაისში, გეორგიევსკისა და გროზნას ბაზრობაზე.

II. წვრილად ვაჭრობა არის:

კავკავში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში, ტფილისში, ქუთაისში, სტანიცა არდონში და სოფ. პროხლადნაია კოვეისკში.

(10.559.9)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები:

ქართული ღრამატიკა შედგ. ანტონ I მიერ	ფ. 1 მ. 50 კ.
„ „ თ. ჟორდანიასი	„ 55 „
„ „ დ. ჩუბინაშვილისა	„ 25 „
„ „ ქუთათელაძისა	„ 40 „
„ „ მ. ჯანაშვილისა	„ 50 „
„ „ დ. ყიფიანისა.	1 მ. 20 „
„ „ ს. ხუნდაძისა ყდ.	„ 60 „
სალიტერატურო ქართული, ს. ხუნდაძისა	„ 1 მ.
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის ღ ყიფშიძისა	1 მ. 20 კ.
ქართული სიტყვიერ. ისტ., ა. ხახანაშვილისა	1 მ. 25 კ.
თეორია სიტყვიერებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა	„ 40 კ.
ქართული ქრისტომატია ანუ კრებული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა	ფ. 85 კ.
მოკლე ფორმალური ლოღიკა, იოსელიანისა	„ 15 კ.
ქართ. ზმნის კლასიფიკაცია, ქუთათელაძისა	„ 50 კ.
ბუნება ქართ. ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, წერილი I, მ. ყიფიანისა	„ 30 კ.
მისივე, ქარ. ზმნის ძირითად.	„ 10 კ.
ქართული ლექსიკონი, საბა სულხან-ორბელიანისა	„ 3 მ.
Опыть груз. русск. словаря, Багаева	„ 50 კ.
Русск. груз. словарь, Д. Чубинова	2 მ. 40 კ.
Къ Иверiйской фонетикѣ, Додаева	„ 40 კ.
Допол. свѣдѣнiя о Чанск. яз. Кипшидзе	„ 45 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.85).

გამართულია **ხელის მოწერა**

მღ. მ. კელენჯერიძის ახალ თხზულებაზე:

„გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა",

(მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)

ტომი I.

ფასი წინდაწინ ხელის-მომწერთათვის 60 კ. (25.1402.2)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.35)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 349)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. **ტელ.** № 182. (თ. 1037 248)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. შოშიტაიშვილი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606".

(წლ—1018—42).

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—132)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.214)

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—30)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—71)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3, ს. გაბაშვილისა.** (უ)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—14)

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყურისა, ცხვირისა და ყელით ავადმყოფ.

გადავიდა

ვერის დაღმართზე, № 3. სახ. ოსიპოვისა. (3—570—3)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა. № 3 11—2 ს. საღამ. 5—7 (25.1045.164)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მე-4 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების სამზადისი ძლიერ დუნედ და უგემურად სწარმოებს. რუსეთის თვალსაჩინო დემოკრატიულ პარტიებისა თითქმის არა ისმის-რა, თითქოს ყოველი ინტერესი დაჰკარგოდეთ არსებულ პოლიტიკურ მიზნისადმი. მხოლოდ სახე უცნობ „პროგრესისტებსა" და სამღვდელოებას დარჩა საარჩევნო მოქმედების ბურთი და მოედანი.

„რუსკაია მისლ"-ის უკანასკნელ ნომერში ვინმე „უპარტიო" სცდილობს დააფასოს მომქმედ პარტიების დღევანდელი ძალთა განწყობილება და აქედან გამოიყვანოს ის სახელმძღვანელო სახვალიო ლოზუნგი, რომელმაც ყველა დემოკრატიული პარტია უნდა შეაერთოს კარზე მომდგარ არჩევნების დროს.

„საზოგადოების წინაშე —სწერს ხსენებული ჟურნალი—სდგას, თუმცა ბუნდოვანი, მაგრამ მაინც საკმაოდ გასარჩევი სურათი იმ პირობებისა, რომლებშიც მიმდინარეობდა მესამე სათათბიროს მოღვაწეობა. განზრახ მატყუარა, ან გაუსწორებელი ოპტიმისტი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ არჩევნების შედეგი, რაგინდ იგი განსაკუთრებით ხელსაყრელი იყოს ოპოზიციისთვის, ერთის დაკვრით შესცვლის არსებულ პოლიტიკურ სურათს. ისიც კარგი იქნება, თუ მთავრობა იძულებული გახდება დაიცვას თვით ელემენტარული საკონსტიტუციო ზრდილობა. მეოთხე სათათბიროს უფრო მეტად ესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომლებიც არ მოიხიბლებიან წყალში თევზის დაფასებით და მცირე მიზეზსაც მაგრად ჩასჭიდებენ ხელს". შემდეგ გაზეთი კითხულობს, თუ რომელია ის ორგანიზაცია, რომელიც გაამართლებს ამ მცირე იმედს მაინც და დაასკვნის: ასეთი პარტია მხოლოდ კადეტების პარტიაა, რადგანაც

„მომენტის დაუყოვნებელ საჭიროებას, როგორც გარეშე საქმეებში, ისე შინ, შეადგენს სახელმწ. სათათბიროსა და მეორე ფაქტორისგან გამომდინარე ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება. საქმე მხოლოდ მუშაობა კი არაა — ამ ფუნქციას მესამე ივნისის კანონის ხალხიც ასრულებდა—არამედ ის, თუ რა გარანტიებით უზრუნველვყოთ ეს მუშაობა. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი 87 სტატია. საჭიროა ერთგვარ საკონსტიტუციო წესის შემუშავება. მესამე სათათბიროს რომ მოეხერხებინა და მინისტრებისათვის ძირითად კანონების დაცვა ესწავლებინა, ამით იგი უფრო მეტს შესძენდა საზღვრების დაცვის საქმეს, ვიდრე მისგანვე გადადებული მილიარდები".

რადგანაც მთავრობას დღემდე ეს აზრი ვერ შეუგნია და ყოველი ღონის ძიებით ცდილობს შეაფერხოს ის კეთილშობ ლური მისწრაფებანი, რომელნიც ასულდგმულებენ მის, თუმცა მცირერიცხოვან, მაგრამ მაინც მომხრეებს, ამიტომ ოპოზიციამ იარაღი არ უნდა დაჰყაროს და უნდა ეცადოს თვისი მხედრობის არა მარტო რიცხვით გაძლიერებას, არამედ თვალსაჩინო პიროვნებათა შემოკრებას. ჟურნალს იმედი აქვს, რომ უპარტიო დემოკრატები აღარ გაიმეორებენ ძველ შეცდომებს და „მემარცხენეობას" მსხვერპლად აღარ გასწირავენ ისეთ პირების კანდიდატურას, რომლებიც თვისი ცოდნითა და ნიჭით მართლაც დიდად გამოსადეგნი იქნებიან სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის, რადგან—დასძენს ჟურნალი—„ახალგაზდა პარლამენტში პიროვნების მნიშვნელობა მეტად დიდია".

ახალი ამბავი

ტფილისი

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო. ქალაქის გამგეობამ საარჩევნო სიებში შეიტანა საერთო კურიიდან: პირველ საპოლიციო უბნიდან—1129 კაცი, მეორედან—955, მესამედან—963, მეოთხედან—1400, მეხუთედან—908, მეექვსედან—371, მეშვიდედან—692, მერვედან—685, მეცხრედან—1239, მეათედან—973, მეთერთმეტედან—444 და მეთორმეტედან—335.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადებანი შეიტანა და საარჩევნო სიებში შეტანა ითხოვეს: 102 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდის. ამომრჩეველთა დანარჩენ სიებში გუშინ არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ტფ. საბაღოსნო სკოლის გამგემ პ. გ. მელიამ შუამდგომლობა აღძრა სამეურნეო საზოგადოების წინაშე ამ სკოლის ბაღის სარწყავ საქმის ორგანიზაციის შესახებ და შესაფერი პროექტებიც წარუდგინა. პროექტით სკოლას 600 თუმანი ექნება შემოსავალი ყოველწლივ თუ მტკიცე ნიადაგზე დააყენებენ ამ ბაღის მორწყვის საქმეს. საზოგადოებამ ეს პროექტი ინჟ. ტ. ა. ენფიანჯიანცს გადასცა განსახილველად.

წესიერი დასვენების ახალი სავალდებულო წესები 26 ივლისს განიხილა ქალაქის გამგეობასთან შემდგარმა თათბირმა, რომელმაც ბევრი ცვლილება შეიტანა. თათბირის აზრის გასაცნობლად და წესების შეცვლის თაობაზე მომავალ პა-

რასკევს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება მოხდება.

◆ **პურის ნიხრი** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ დაადგინა, პურის ნიხრი შეამციროს. ყოველ ხარისხის პურს გირვანქაზე ნახევარ კაპეიკი დააკლდება.

◆ კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსმა ტფ. გუბერნატორს აცნობა, რომ ტფილისის გუბერნიაში მხოლოდ ბორჩალოს მაზრაშია სამთო სამრეწველოები; ამიტომ იმისი აზრით კომისიაში, რომელმაც არჩევნების შესახებ საჩივრები უნდა განიხილოს, წარმომადგენლის არჩევა უნდა მხოლოდ ბორჩალოს მაზრიდან. მას საჭიროდ მიაჩნია კომისიაში წარმომადგენლად დაინიშნონ სამთო სამმართველოს მესამე რაიონის ინჟენერი ლემანი, რომელიც ტფილისში სცხოვრობს, საგუბერნიო კომისიაში კი მესამე სამთო ოლქის ინჟენერი კოლესნიკოვი.

◆ ტფ. გუბერნატორმა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, სამთო სამმართველოს უფროსს და ქარხნების ინსპექტორს სთხოვა: 1) გააცნონ მუშებს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წესები, 2) რაც შეიძლება მოკლე ხანში წარუდგინონ მას ტფ. გუბერნიასა და ცალკე ქალაქის მუშებსა, რომელნიც მუშაობენ რკინის გზის სახელოსნოებში, და აგრედვე სამთო და სამთო-სამრეწველო დაწესებულებაში, სადაც ხდება ხოლმე არჩევნები. თანაც აღნიშნონ მონაწილეობის უფლებანი, მუშების რიცხვი და რამდენი წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვთ, 3) არჩევნების დროს ყოველ სახელოსნოში და ასეთივე დაწესებულებაში გამოკიდულ იქმნას მთავრობის ხელმოწერილი სია მუშათა და რამდენი წარმომადგენელი უნდა აირჩიონ, და 4) დროზე აცნობონ, როდის უფრო მოხერხებული იქნება მუშათა წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნა.

◆ პეტერბურგში მყოფ ოსმალეთის ელჩმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა: რათა 1 აგისტოს გადის ვადა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ოსმალეთის ქვეშევრდომთა პასპორტების გამოცვლისა, ამიტომ ოსმალეთის კონსულებს ნება მიეცეთ მისცეს მათ დროებითი მოწმობები, სანამ ნაციონალური პასპორტები ჩამოუვათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლოდ დაინახა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, და თანაც განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უცხოელს პასპორტი არ აღმოაჩნდება, მხედველობაში უნდა მიიღონ კონსულების მიერ მიცემული მოწმობები.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ტფ. გუბერნატორს სთხოვა, ძალა დაატანოს ქალაქ გორის თვითმმართველობას, რათა გადაიხადონ 1912 წლისათვის გორის სავაჟო პროგიმნაზიისათვის აღთქმული 1000 მან.

◆ ნამესტნიკის კანცელარიამ ტფ. გუბერნატორს გაუგზავნა ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქზე განაწილებული, სამის წლის 1912—1915-მდე სახელმწიფო გადასახადი, საადგილ-მამულო გადასახადი და საერობო გადასახადი; კანცელარია წინადადებას აძლევს გუბერნატორს სისრულეში მოიყვანოს ეს დამტკიცებული გადასახადების გაწესება.

◆ ტფ. გუბერნატორმა ტფ. ქალაქის მოურავს წინადადება მისცა ზომები მიიღოს, რათა ეხლავე წარმოადგინონ ქალაქის შემოსავალ-გასავალის მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა ადგილობრივ მეურნეობის უმთავრეს სამმართველოში, საფინანსო სამინისტროში და კავკასიის ნამესტნიკ. გუბერნატორი სთხოვს ორი კვირის განმავლობაში აცნობოს ამის შესრულება.

◆ გუშინ ბაკურიანიდან დაბრუნდნენ კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ვასილიევი, ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორი ბ-ნი როლლოვი, უფროსი აგრონომი ტიმოფეევი, და სამხედრო ინჟენერი დენისენკო, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბჭობაში ბაკურიანის საბოტანიკო ბაღის მომვლელ მოქმედების შესახებ.

◆ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 1000 მან. გადასდო ტფ. **საბაღოსნო სკოლასთან სამოსწავლო სახელოსნოს** დასაარსებლად. სახელოსნოში ტეხნიკურად დაამუშავებენ ხილსა და მწვანილეულობას. ფული უკვე მიიღეს და სახელოსნოს შეკეთება დაიწყეს.

◆ **ექსკურსია.** ტფილისის საბაღოსნო სკოლის უკანასკნელ კლასის მოწაფეები, რიცხვით 14 კაცი სკოლის გამგის ბ-ნ მელიას მეთაურობით მიემგზავრება ბათუმის ოლქში შავი-ზღვის პირად.

◆ 27 ივლისს, ღამით, სუდებნი ტუპიკში მდებარე გოლუბკინის სახლს (№ 5) ცეცხლი გაუჩნდა. მაშინვე აცნობეს ცეცხლის მქრობელ რაზმს, რომელმაც დაიგვიანა, რადგან ამ დროსვე ცეცხლს აქრობდა სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზე. პოლიციელებმა და ხალხმა როგორც იქნა შინაურულ ზომებით ჩააქრეს ცეცხლი.

◆ 26 ივლისს ტფილისში 28 უპასპორტო შეიპყრეს,

◆ უკვალოდ დაიკარგნენ ტფილისში მცხოვრებნი ნიკოლოზ კოვალენკო და საშქის ტრუბეცკოი.

◆ 26 ივლისს, ხოჯივანქის სასაფლაოსთან მდედრობითის სქესის, ორის კვირის ბავშვის გვამი იპოვეს.

◆ 26 ივლისს უეცრივ გარდაიცვალა რაჭის მაზრის სოფ გორის უბნის მცხოვრები ანტონ ზაალის ძე წულუკიძე. მისი გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

რკინის გზებზე

◆ **სადგ. მოლითი.** 21 ამა ივლისიდან აქ გაიხსნა ფულის შემნახავი კასსა, რომლის წარმოება მიენდო ამ სადგურის უფროსის თანაშემწეებს.

გორი

◆ გორის ქალაქის გამგეობამ ქალაქ სამარიდგან მიიღო დეპეშა ექიმ ლამბარაშვილისა. ბ-ნი ლამბარაშვილი აუწყებს გამგეობას პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავს და სთხოვს ქალაქის მართველობას მთავრობასთან იშუამდგომლოს, რათა ნება დართონ მიცვალებული ტფილისში მოასვენონ. ლამბარაშვილი ამავე დროს იუწყება, რომ განსვენებულ ხახანაშვილს **ქალაქ გორისთვის შეუწირავს თავის სახლი**, სამეფო ქუჩაზე ამ სახლში უფასო სასწავლებელი უნდა გაიმართოს.

ქუთაისი.

◆ **სამაზრო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებს**, ოლქის სასამართლოს წევრთ, წინადადება მიუვიდათ სათანადო მთავრობის მიერ, რომ დაუყონებლივ გაემგზავრონ თავ-თავის რაიონში და კომისიების მოქმედება განაახლონ. ხსენებულნი პირნი უკვე გაემგზავრენ თავ-თავის რაიონებში.

◆ ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი **კ. ბაქრაძე**, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს მთხოვნელმა **მებურიშვილმა** მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა, ავად გამხდარა. ბ-ნ მებურიშვილს კი პოლიცმეისტერისთვის განუცხადებია: ბ-ნმა ბაქრაძემ რევოლვერით მოკვლა მომინდომაო.

◆ საადგილ-მამულო ბანკის ნაბუხჰალტრალ **სვანიძეს** განუცხადეს, 1 აგვისტომდის ჩააბარე ახალ ბუხჰალტერს 1 ივლისის ბალანსიო. 1 აგვისტოდან ბ-ნ სვანიძეს ჯამაგირი ესპობა.

◆ **გუბერნატორი** სლავოჩინსკი საჩხერედან დაბრუნდა.

◆ **საარჩევნო ცენზიანთა** რიცხვი ასე იყოფა უბნებად: წყალგალმა უბანში უძრავ ქონების ცენზიანთა რიცხვი 2231, სამრეწველო გადასახადით—150, ბინის გადასახადით 42 და სამსახურით—143; სულ 2566; შუაგულ უბანში ქონების ცენზით 473, სამრეწველოთი—1361, ბინის გადასახადით—76 და სამსახურით 704, სულ 2613; ქალ. ზედა უბანში ქონებიანთა რიცხვი—1545, სამრეწველოთი—117, ბინის—78 და სამსახურით—166, სულ 1906.

◆ როგორც გადმოგვცემენ **კულაშის ნორმალური სასწავლებელი** ისევ ამ სოფელში რჩება.

(„კოლხ.")

კავკავი.

◆ **ნალჩიკის ხაზინის გამძარცველთა საქმე** კავკავის სამხედრო-საოლქო სასამართლოს უკვე გაურჩევია. სამი კაცისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტნია, ერთისათვის გამასწორებელ რაზმში ყოფნა.

სოფლად

◆ **ს. მეტეხი** (ქართლი) შაბათს, 28 მკათათვეს, **ს. მეტეხში**, ადგილობრივი სცენის მოყვარენი გამართავენ წარმოდგენას ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა **„მსხვერპლი"** დრამა 3 მოქ. ადგილების ფასი გლეხებისთვის ხელ მისაწდომია შაურიდან—ორ აბაზამდე.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის საგანგებო კრებამ დაადგინა: გაუგზავნოს დეპეშა ექიმ ლამბარაშვილს, რომ შუამდგომლობა აღძრას სამარის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს განსვენებულის ხახანაშვილის გვამის ტფილისში გადმოსვენებისა.

— გუშინ სამარიდან ექიმ ლამბარაშვილიდან წ. კ. გ. საზოგადოებამ დეპეშა მიიღო. ბ-ნი ლამბარაშვილი ატყობინებს, რომ ა. ს. ხახანაშვილის გვამის გადმოსვენების ნება უკვე დართულია და საჭიროა სახარჯოდ 800 მანეთი. გამგეობამ დაადგინა, რომ როგორც გადმოსვენებისა ისე დასაფლავების ხარჯი თვით იკისროს. გუშინვე დეპეშით გაუგზავნეს 800 მანეთი.

— ა. ს. ხახანაშვილის ცხედარს დღეს გამოასვენებენ სამარიდან. თან წამოჰყვება განსვენებულის გათხოვილი და დარია ინაშვილისა.

— გუშინ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მოვიდნენ ქალაქ გორის მცხოვრებლებთა წარმომადგენლნი და განაცხადეს, რომ გორელების სურვილია, განსვენებულის დასაფლავება გორში მოხდეს დიდის ამბით.

— გუშინ, საღამოსთვის, ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნული იყო პანაშვიდი განსვენებულ პროფ. ა. ს. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

— კვირას, 29 ივლისს, დილის 11 საათზე, ანჩისხატის ტაძარში, ტფ. ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა თაოსნობით გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის ა. ს. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

— განსვენებულს პროფესორს ა. ს. ხახანაშვილს თავისი მშვენიერი სახლი, რომელიც გორშია და 25,000 მანეთამდე ღირს, ანდერძით დაუტოვებია გორის ქალაქის თვითმმართველობისთვის.

— გუშინ ტფილისში ჩამოვიდა გორის ქალაქის მოურავის თანაშემწე დ. მაჭავარიანი, რომელიც ქართველ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ტფილისიდან მიემგზავრება განსვენებულის პროფ. ა. ს. ხახანაშვილის ნეშტის გზაზე შესახვედრად.

გორის ქალაქის გამგეობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ექიმ ლამბარაშვილს, ქალაქ სამარაში:

„ქალაქის თვითმმართველობა გლოვობს და თავის ულრმესს მწუხარებას გამოსთქვამს ქალაქ გორის სახელოვან შვილის ქართველ ძვირფასს პროფესსორის ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებისა გამო.

დღესვე იგზავნება ტფილისში გამგეობის წევრი გარდაცვალებულის ტფილისში გადმოსასვენებლად საქმის მოსაწყობად.

გორის ქალაქის მამასახლისი პაპალექსი".

ქუთაისის ავ-კარგი.

დ. ნიჟარაძე და ბიბიკოვი დიდი ხანია იბრძვიან. ამ ბრძოლაში არც ერთი და არც მეორე არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ იმათ, ვინც რუსულ ასოებით დაბეჭდილ ქართულ გაზეთებს კითხულობს. უკანასკნელი პოლემიკა იმით დამთავრდა, რომ ბიბიკოვმა ნიჟარაძე სამართალში მისცა ცილის-წამებისათვის და ნიჟარაძემ—ბიბიკოვი.

პირველი საქმე უკვე გაირჩა, ხოლო მეორის გარჩევა ჯერ-ჯერობით რაღაც მიზეზით დაგვიანდა.

ეხლა ქუთაისი კიდევ აალაპარაკა ერთმა ამბავმა.

ქუთაისის გუბერნატორს ხელში ჩაჰვარდნია რამდენიმე თაბახზე დაწერილი წერილი, რომელშიაც თურმე გუბერნატორის მოღვაწეობას ეხება.

კვლევა-ძიებით იმ დასკვნამდე მისულან, რომ ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს ბ-ნ დარახველიძის ხელით, ხოლო დარახველიძე თ-დ ნიჟარაძის თავმჯდომარეობის დროს სამაზრო სამხედრო საკრებულოში საქმის მწარმოებლად ყოფილა და მის გადადგომასთან ერთად, მსახურობას ბ-ნი დარახველიძეც დაუთხოვნია.

გუბერნატორს დაუბარებია ბ-ნი დარახველიძე, უჩვენებია ზემოთ ნახსენები წერილი და შეჰკითხებია—ვისი დაწერილიაო? მას უთქვამს, წერილი ჩემი ხელით არის დაწერილი, ხოლო შინაარსი ნაკარნახევია თ-დ დ. ო. ნიჟარაძის, თ-დ დ. კ. ნიჟარაძის და თ-დი დადეშქელიანის მიერაო. ეს განცხადება ბ-ნ დარახველიძეს წერილობითაც დაუდასტურებია.

გუბერნატორმა დარახველიძის წერილის ამბავი აცნობა დეპუტატთა საკრებულოს. ახლა საკრებულომ დაიბარა ბ-ნი დარახველიძე მან სულ სხვა კილოზე დაიწყო ლაპარაკი: წერილი ჩემი დაწერილია, მაგრამ ნაკარნახევია ბ-ნ ბიბიკოვის მიერ და თუ გუბერნატორს სხვა ჩვენება მივეცი ეს იმით აიხსნება, რომ გადასახლებას ან სხვა რამ სასჯელს შევუშინდიო. ეს ამბავი აღვნიშნეთ მარტო მისთვის, რომ დაგვენახვებინა, თუ რა მახინჯი სახე მიიღო თ-დ ნიჟარაძისა და მის მოწინააღმდეგის ბრძოლამ. **კეს.**

მხატვარი მოსე თოიძე

დუშეთის მხარეს.

ქართულმა საეთნოგრაფიო საზოგადოებამ [illegible] ბ-ნ მოსე თოიძეს ამ ზაფხულს [illegible] დუშეთის [illegible], ძველი [illegible] და ღირსახსოვარი ნაშთები დაასურათოს.

სამწუხარო აღსანიშნავია, რომ ჩვენი მიყრუებული პროვინციები, სადაც იმყოფება აურებელი უძველესი ნაშთი, მეტად გულგრილად და შეუგნებელის უზრუნველობით ეკიდებიან ამ ისტორიულ განძებს.

ბ-ნ მოსე თოიძეს ბევრი რამ საგულისხმო უნახავს და დაუსურათებია. სხვათა შორის იგი ყოფილა სოფ. ბოდორნოში (დუშეთიდან სამხრეთის მხრივ ექვს ვერსის მანძილზეა არაგვის პირად). აქ ყოფილა უძველესი ეკლესია, რომელსაც თურმე აახლებენ. სამწუხაროდ, ეს განახლება, ალბად უცოდინარობისა გამო, ამ სიძველის დამახინჯებას უფრო ემსგავსება. სამრეკლოდან, ძველი ჩუქურთმიანი საჯვარე ქვა ძირს გადმოუგდიათ და სამრეკლო კიევის გემოვნებაზე გაუკეთებიათ. აქვე, ალბად ამ „განახლების" გამო, ცის ქვეშ ყოფილა დაგროვილი ძველი ჭურჭლეულობა და ფალასები, ეს ჭურჭლეულობა სხვა და სხვა მოყვანილობისა და გემოვნებისა ფრიად საჭირო ნიმუშებს წარმოადგენს, უძველეს ქართველ შინამრეწველობის შესასწავლად. ამისათვის ურიგო არ იქნება რამდენიმე ნიმუში და მასთან ის „დაწუნებული" საჯვრე ქვა ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირონ.

ამ ეკლესიას დარაჯად სომეხი ჰყოლია და ისეთი ერთგულიც, რომ ბ-ნი მოსე თოიძე ეკლესიაში არ შეუშვია—„ტერტერა გამიჯავრდებაო".

აქვე ყოფილა უძველესი ქვის ემბაზი რვა-კუთხედი, ჩუქურთმიანი. თუ ეკლესიას აღარა სჭირდება, სასურველია რომ იგიც ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების სალაროს შესწირონ.

ანანურის ეკლესიის ეზოშიაც უნახავს ბ-ნ თოიძეს სამრეკლოს ჩუქურთმიანი ქვები. ეს ჩუქურთმა უფრო სუფთა და საგულისხმოა. თვითონ ეკლესია სუფთად და ლაზათიანად ინახება.

სამწუხაროა, რომ ეკლესიის უძველესი მატვრობა აქა-იქ შეულესიათ. სასურველია—აქაური ჩუქურთმიანი ქვებიც, თუ იგი ეკლესიას აღარ სჭირდება საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწიროს.

ლექციები ქუთაისის საპყრობილეში

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა ნება დართო ბ-ნ დავით ლეკვინაძეს ლექციები უკითხოს ქართულად ქუთაისის საპყრობილის პირველ განყოფილების პატიმრებს. სანამ ლექციების შესახებ ვიტყოდეთ რასმე, ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ამ

ადამიანი მხეცი არ არის

(თარგმანი)

გაცხარებული მუშაობა იყო. მაღაროში მანქანას ქშენა გაჰქონდა. აქა-იქ მუშებს მუშაობისათვის თავი დაენებებინათ, — დღესასწაული ახლოვდებოდა. ჩვენი მაღაროები ციცაბო მთის ფერდობზე იყო, შორიდან რომ შეჰხედავდი, გეგონებოდა სადაცაა მთა მოიმზღვლევა და მახლობელს მდინარეში ჩაექანებაო.

კარგი ზაფხული იცის იქ, ზამთარი კი ღმერთმა შეინახოს... ათიდან ოცი ვერსის მანძილზე მცხოვრებლებს ვერ შეხვდები, თითონ მაღაროებიც ერთი-ერთმანეთზე ხუთი ვერსითაა დაშორებული.

მშვენიერია იქ ზაფხული. გარეშემო ტრიალ, მწვანით შემოსილ მინდვრებს ადამიანი თვალს ვერ გადააწვდენს. ზამთარი კი უბედური იცის; განუწყვეტლივ უბერავს და საზარლად ზუზუნებს ქარიშხალი, ძევს გაუვალი თოვლი, ირგვლივ წყვდიადია გამეფებული. მინდვრად რომ გადიხარ, ნამქერი თავპირში გაყრის, გზაკვალი გერევა, გესმის რაღაცა საზარელი ხმები. შიშით თავზარი გესხმის, გული ისე გელევა და შემოგკვნესის, თითქოს აგერ ეს არის, ღმერთმა დაგიფაროს, გულის საყვარელი დაგემარხოსო; ვეღარ გამორკვეულხარ, გგონია ეს წყვდიადი, ქარ-ბუქი და საზარელი ხმები საუკუნეთ გეხვევა თავს და ვეღარ ეღირსები დღის სინათლეს.

დრო გამოშვებით აქა-იქ მაღაროებიდან სანთლის შუქი გამოკრთის ერთ წამს და უმალ ჰქრება იმავ წყვდიადში...

ეხლა, ამ დღესასწაულების მოლოდინში უფრო მოსაწყენი და გულგამწყალებელი იყო ეს ადგილი. გული და ხელი მიილტვოდა იქ, სადაც მხიარულება, სიყვარული, ალერსი და სიამოვნებაა. დიახ, მოსაწყენი იყო ეს ადგილი და აი კიდეც ამიტომ მინდოდა მეც დღესასწაულებისათვის შინ წავსულიყავი. გაშმაგებულ ქარიშხალს გაჰქონდა საზარელი ზუილი, ჰხვეტდა თოვლს დედამიწიდან, აჰქონდა ჰაერში, ატრიალებდა, ჰყრიდა ისევ ძირს და ადგილ-ადგილ თოვლის ზვინებს აყენებდა. მიყრუებულ არემარეში ადამიანის ხმაურობის მაგივრად მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა.

მანქანას კი იქ, მაღაროში, ქშენა და ქოშინი გაჰქონდა, მას ქარ-ბუქი და თოვლი არ აშინებდა; თვალის დახამხამებაზე დაუზარელად ასრულებდა ადამიანისათვის მძიმე და აუტანელს საქმეს.

— მაღაროს მუშებს მანქანა არ უყვართ, ან კი რა საყვარელია? რამდენი სამუშაო გამოჰგლიჯა ხელიდან საბრალო მუშა ხალხს და დასტოვა პირში ჩალა-გამოვლებული, ულუკმაპუროდ.

ეს აქა ქოშინებს ერთ ადგილას ირყევა, საწყალი ჩვენი მოძმე, მაღაროს მუშები კი, ლუკმა-პურის საშოვრად ჯოჯოხეთ ადგილებში არიან წასულები სამუშაოდ.

ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს რა ძალა ადგა, რად უნდოდა საწყალ მუშა ხალხს მანქანა, რომ ისე გულმოდგინედ თითონვე შეუწყო ხელი და საჩქაროდ გააკეთა იგი?!

ღამდებოდა. აგერ, ამოვიდა მაღაროდან „ზემოდ" უკანასკნელი წყება მუშებისა. გუდოკმა ისეთი შესაბრალისად და ხანგრძლივად დაიღრიალა, რომ ადამიანს მის გაგონებაზე სწორედ აეტირებოდა.

ქარიშხალი გაშმაგებით უბერავს, ბრაზდება.

* *

მუშების ზედამხედველი ვასილი პავლეს ძე კოსტინი მაღაროებში ჩავიდა, უნდოდა დაეთვალიერებინა უკანასკნელი წყება მუშებისა და შეემოწმებინა ნამუშავარი. ვასილი პავლეს ძე არავის უყვარდა, გულ-ქვა და ბოროტი ადამიანი იყო.

— „ეს ადამიანი კი არა, მანქანაა სწორედ",—იტყოდნენ ხოლმე მუშები კოსტინზე, „ამასაც ისე ვერაფერს შეასმენ როგორც მანქანას, ერთი გირვანქა ნახშირისთვის დედას გაჰყიდის".

არც კანტორის მოხელეებს უყვარდათ კოსტინი. მაგრამ კოსტინს ეს აინუნშიაც არ მოსდიოდა, არ ენაღვლებოდა. მართლაცა და ეს კაცი მომართულ მანქანას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანსა.—სჭამდა, სვამდა, დადიოდა, მუშაობდა დაუღალავად; თავის თღეში არავის არ გამოელაპარაკებოდა. საშინელი უადამიანო იყო, არავინ ეპიტნავებოდა, მუშები კი საზოგადოდ სძულდა. ქვეყანაზე ერთად-ერთი არსება უყვარდა და ეალერსებოდა—ეს იყო მისი 5—6 წლის შვილი პავლე.

დღეს, ამ დღესასწაულების წინ უკანასკნელად-ღა ჩადიოდა კოსტინი მაღაროებში. იგი ყოველთვის მარტო ჩადიოდა ხოლმე, ან კი რად უნდოდა გამცილებელი, როდესაც იმ წყვდიადით მოცულ ქვესკნელში ისედაც კარგად იცოდა გზა-კვალი. ხელში სანათით ისე ჩადიოდა კოსტინი მაღაროში, როგორც თავის სახლში, არაფრისა არ ეშინოდა.

დღესაც ჩვეულებრივ უშიშრად ჩავიდა მაღაროში, კარგა მანძილი გაიარა. შემოიარა ყველა კუთხეები, მისახვევ-მოსახვევები და დაჯდა დასასვენებლად.

ზის კოსტინი კლდის გამოშვერილ ქვაზე და ვნახოთ უცებ შემოესმა მძიმე ამოოხვრა.

— ეჰეი, ვინა ხართ მანდა, ეშმაკები თუ? პასუხი არ მოესმა. ადგა ზედამხედველი და გასწია იქითკენ საიდანაც ხმა მოესმა და ვიღაც კაცს წააწყდა.

— ვინ არის აქ?

— ჩვენ, ვასილ პავლეს ძევ, ყრუდ უპასუხა ხმამ. მუშა, დიმიტრი ვლადიკინი ჩამორჩენილიყო ამხანაგებს, ვერ მოესწრო მათთან ერთად მაღლა ასვლა და აქ ბნელაში გზა-დაბნეული დაეხეტებოდა.

არ ვიცი რად, მაგრამ ვლადიკინი არ უყვარდა კოსტინს, ეჯიბრებოდა, ყოველთვის მძიმე სამუშაოს არგუნებდა.

— აქ რას დაეთრევი, რა დაგრჩენია? იქნება რამე სისაძაგლე გიდევს გულში, ჰა, მე ვიცი შენი...—და ჰაერში გაიელვა სინათლემ... ზედამხედველმა მოუქნია თუნუქის სანათი.

— ნუ მცემ! ვასილ პავლეს ძევ, აქ ძმაო, ღმერთია, შენა და მე ვინ ვის აჯობებს ღონით ესეც კარგად იცი... თუ ერთი შემოგკარ კარგად იცი ძირს სველი მიწის მეტი აღარა დარჩება რა...

— რაო?! დაიღრიალა ზედამხედველმა... ამ დროს რაღაცამ საზარლად დაიხმაურა და იქაურობა დატრიალდა...

* *

ქარიშხალი თითქოს მიყუჩდა. მაგრამ უცებ რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუბერა გრიგალმა ისეთის ძალით თითქოს ქვეყნის დანგრევას ჰლამობსო, დაატრიალა არემარე, მოისმა საშინელი შხუილი და სტვენა. ორივემ—ზედამხედველმა და მუშამ—სასოებით გადიწერეს პირჯვარი.

— შხუ!—შხუ!—ზუუუ. — შემოესმათ მეორედ საზარელი ხმები, მაგრამ ახლა თითქოს უფრო ხანგამოშვებით. ხმა კი უფრო მკაფიოდ და გარკვევით ისმოდა. შიშით ცივმა ოფლმა დაასხათ ორთავეს.

— ეს რა ამბავია, მართლაცა?

— ვინ იცის, იქნება ეს იყო ჩვენი ბედი. ანუგეშებდნენ ერთმანეთს, კარგად იცოდნენ, რომ ეს არც მოჩვენება იყო და არც სხვა რამ.

საშინელი შხუილი და ხათქუნი განმეორდა, უფრო მკაფიოდ და უფრო ახლო. ზედამხედველი და ვლადიკინი ლოცულობდნენ. მათ მზისაგან დამწვარ და მუშაობისაგან დანაოჭებულ სახეზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ; ეხლა კი მიხვდნენ ეს ჯიუტი ადამიანები, რომ ხუმრობა აღარ იყო და არც მოჩვენება, რომ ისინი იღუპებოდნენ და მათი ხსნა და შველა ძნელი-ღა იყო. დაუბერა საშინლად ქარმა და გააქრო სანათი. ერთმა მათგანმა ჯიბეში ასანთი მონახა; კანკალით ამოიღო ასანთის კოლოფი, მაგრამ ხელებმა უმტყუნა, ძირს დაუვარდა. გარშემო უკუნეთი სიბნელე იყო, თვალწინ არა სჩანდა რა. ცოტა რო გული მოიბრუნეს, დაიწყეს ძირს ხელის ფათურით კოლოფის ძებნა, ძლივს-ძლივობით იპოვნეს, მაგრამ აღარ ვარგოდა, კოლოფი წყალში ჩავარდნილიყო დასველებულიყო, ასანთი გაფუჭებულიყო. გადასწყვიტეს შეეტყობინებინათ ვისთვისმე.

— ეჰეი, ვინა ხართ მანდა?...—აკანკალებულის ხმით შეჰყვირა კოსტინმა. მაგრამ თითონვე შეეშინდა თავისი ხმისა—ისეთი ხრინწიანი და შესაბრალისი იყო. მისი ხმა ჰაერში გაიფანტა შორს, შორს თითქოს უფსკრულში ჩაინთქაო. პასუხი არ ისმოდა. გამხეცებული ქარი კი უსტვენდა და ზუოდა.

— არა მგონია რომ არ ესმოდეთ, იქითა მაღაროში ჯერ ისევ მუშაობდნენ.

— ვინა ხართ მანდ?... გვიშველეთ!

პასუხი კვლავ არ ისმოდა, მხოლოდ შორიდან ისმოდა რაღაცა გამოურკვეველი ხმაურობა. ზედამხედველმა და მუშამ მწარედ, ნაღვლიანად ამოიოხრეს. მიყუჩდნენ და სულ განაბულებმა—მიუგდეს ყური ჯადოსნურ ხმაურობას. ახლა კი მიხვდნენ რაც იყო: ეს იყო წყალი. როგორც იტყობა გვერდის მხრიდან შემოვარდნილა წყალი მაღაროებში

საპყრობილეში არსებულ სკოლის შესახებ.

ამ საპყრობილეში არსებობს სკოლა, სადაც მასწავლებელი ბ. დავით ლეკვინაძე, საპყრობილის მღვდ. ლ. დევიძე ასწავლიან პატიმრებს წერა-კითხვას და სამღთო სჯულს. ტუსაღების უმრავლესობა წერა კითხვის უცოდინარია; ბ. ლეკვინაძის და მღ. დევიძის შემწეობით შეისწავლეს არა მარტო წერა-კითხვა, არამედ მათმა დარიგებამ თავის ყოფა ცხოვრებაზე ბევრი ტუსაღთ შეაგნებინა ცხოვრების მრუდე და მავნებელი მხარეები. მასწავლებელი ბ. ლეკვინაძე და მღვდელი დევიძე უკითხავენ აგრედვე შესაფერ წიგნებს და ზეპირ გადმოცემებით უამბობენ ტუსაღებს კეთილად აღმზრდელ შინაარსიან მოთხრობებს.

ყველა ამას მოჰყვა გუბერნატორისაგან ნებართვა ლექციების კითხვისა ქართულად და რუსულად.

უკანასკნელს დროს ბ. დავ. ლეკვინაძემ წაიკითხა ორი ლექცია; ერთი ქართულად, მეორე რუსულად.

პირველი ლექცია იყო ქართულად: „მზის დაწყობილება (система) და პლანეტა დედა-მიწა“.

მეორე ლექცია რუსულს ენაზედ: 1). ისტორიული განვითარება ქვეყნიერობის დაწყობილებისა; 2). მეცნიერი პტოლომეის წესი (система) და მისი შეხედულება ქვეყნიერების დაწყობილებაზე; 3). მეცნიერ და ვარსკვლავთ მრიცხველ კოპერნიკისა და ნიუტონის წესები ქვეყნიერების აგებულებაზე.

ამ ლექციებით ბ. ლეკვინაძემ ნათლად დაგვისურათა დედა-მიწის და სხვა პლანეტების მდგომარეობა ცის სივრცეში, მათი წარმოშობა და მომავალი დასასრული.

ამ ლექციებს ზნეობრივად და გონებრივად დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ტუსაღის ერთ ფეროვანს და დახშულს ცხოვრებაში.

ცოტა რამ საპყრობილეს წიგნსაცავის შესახებაც. საპყრობილეში არის წიგნ-საცავი, სადაც ინახება ოთხას ტომამდის რუსულ-ქართული წიგნი. წინა წლებში ეს წიგნ-საცავი იმყოფებოდა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში. მას განაგებდა ციხის ადმინისტრაცია. 1912 წლიდან ეს წიგნსაცავი ჩააბარეს საპყრობილეს მასწავლებელს ბ. დავ. ლეკვინაძეს; მას შემდეგ შეეტყო გამოცოცხლება.

სასურველია, რომ საზოგადოებამაც მიაქციოს ყურადღება ამ წიგნსაცავს და შეძლების დაგვარად მიაწოდოს შესაფერი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ციმბირელი ჯაფარა.

მოგზაურნი გორში

ამ ორი თუ სამი წლის წინად ქ. მოსკოვში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „მუსაგეტი“. ამ ამხანაგობის წევრები არიან ეგრედ წოდებულ „მოდერნიზმის“ მიმდევარი თანამედროვე ცნობილი მწერლები რუსეთისა: ვ. ბრიუსოვი, ბალმონტი, გოროდეცკი და სხვ. ამხანაგობას კარგა ძალი თანხა აქვს და განუზრახავს შეჰკრიბოს და გამოაქვეყნოს რუსეთის განაპირა ქვეყნების მცხოვრებთა თქმულებანი, ზღაპრები, არაკები და სხვა.

ამ აზრით „ამხანაგობას“ დაუგზავნია თავისი თანამშრომლები სხვა და სხვა ადგილას. სხვათა შორის საქართველოს შესასწავლად ამ ამხანაგობას გამოუგზავნია მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელი ქ. კ. პ. ბლიზნიჩენკო, რომელიც დღეს გორში (სასტუმროში) სცხოვრობს და დიდის გულმოდგინებით სწავლობს ქართულ ენასა და წარსულს. ქ-ნ ბლიზნიჩენკოს თანა ჰყავს დედა—მხატვარი, ხუროთმოძღვრებისა და ძველ ნაშთთა კარგი მცოდნე. ეს ორი, უცხო ქვეყნიდან უცხოეთში მოსული მანდილოსანი მთელი დღეები უვლიან გარშემო გორს და თითოეულ ნანგრევს, თითოეულ ნაშთს გულმოდგინედ ათვალიერებენ. ჩვენ შემთხვევა გვქონდა მათის გაცნობისა და სწორედ გაგვაკვირვა მათმა გულმოდგინეობამ, უბედურება მხოლოდ ის არის, რომ მეტად ნაკლები წარმოდგენა ჰქონიათ ჩვენ ქვეყანაზე. საქართველო მდევებისა, ალ-ქაჯების და ძველი რაინდების ქვეყნად მიაჩნიათ. ეჭვი არ არის, ასეთი მოუმზადებელი ხალხის შეცდომაში შეყვანა ადვილია და ვშიშობთ, რომ ვინმემ ბოროტად არ ისარგებლოს მათის გულუბრყვილობით.

ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ რუსეთის საზოგადოებას—თუნდა მის ყოვლად განათლებულ ნაწილსაც კი—ჩვენზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ძიება და ცოდნის წყურვილი ამ მანდილოსნებისა. ვინ იცის საიდან სად წამოსულან, წამოსულან მარტოკანი, ვაჟკაცური გამბედაობით და გმირულის თავგანწირვით. უყურებთ სრულიად ახალგაზრდა ბლიზნიჩენკოს და გაგონდებათ მისი ტოლი ქართველი ქალები, რომელნიც ამ ხანში, ან უმარილოთ ითხუპნიან თავბირს და ან სტკეპნიან ბულვარ-ბაღებს და ბიჭ-ბუჭებთან ლაზღანდარობით ერთობიან. მახლას!

კარგი იქნება, რომ გორის ქართველი საზოგადოება და შეგნებული ოჯახები გაიცნობდნენ ამ ქალებს და ხელმძღვანელობას გაუწევდნენ.

(„ქართ.“)

ქიზიყის ამ-ბარბი

18 ივლისისათვის სოფელ ქვემო-მაჩხაანში სიღნაღის მაზრის მომრიგებელ—შუამავალ ბ. ამილახვარის მიერ დაბარებულნი იყვნენ ადგილობრივ საავადმყოფო-ქსენონის გამგე კომიტეტის წევრნი. საღამო ხანს მობძანდა თვით მომრიგებელი—შუამავალი და შეკრებილ კომიტეტის წევრთ გამოუცხადა, რომ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ დღეს თქვენ ნაცვლად აწინდელ თქვენს თავმჯდომარე იაკო დავითის ძე მენთეშაშვილისა, სხვა ვინმე თქვენთაგანი უნდა ამოირჩიოთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით გუბერნატორი დანიშნავს თქვენს თავმჯდომარედ, ადგილობრივ ბოქაულსა, როგორც ქსენონის წესდებაშიაც სწერიაო.

კომიტეტის წევრთ კარგა ხნის თათბირისა და საქმის ყოველმხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ მომრიგებელ—შუამავალს ბ. ამილახვარს მოახსენეს, რომ აწინდელი მათი თავმჯდომარე იაკო მენთეშაშვილი, არჩეული მათ მიერ წარსული წლის აგვისტოში, ამ ერთის წლის განმავლობაში ერთგულად და კეთილ სინდისიერად ასრულებდა თავისს მოვალეობას, ანგარიშები და შესავალ-გასავლის დავთრები უწარმოებია სიმართლით, არავითარი სიყალბე მას არ ჩაუდენია, ქსენონის ფული არ შეუჭამნია, ამიტომ ჩვენ მას ქსენონისათვისა და მის კეთილდღეობისათვის სასარგებლო ადამიანად ვთვლით და კვლად ვირჩევთ ერთხმად მას ჩვენს თავმჯდომარედ, თქვენც თქვენის მხრივ გთხოვთ, იშუამდგომლოთ გუბერნატორის წინაშე, რომ კვლავ დაგვიტოვოს თავმჯდომარედ იაკო მენთეშაშვილიო.

მართალია ქსენონის წესდებაში მოხსენებულია, რომ ქსენონის გამგე კომიტეტის თავმჯდომარეობას ადგილობრივი ბოქაული ასრულებს, მაგრამ როგორც წარსულის წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ბოქაულებს არ შეუძლიანთ გაუძღვენენ ამ მძიმე და რთულ-პასუხსაგებ თავმჯდომარის მოვალეობას, ვინაიდან იგინი ისედაც დატვირთულნი არიან თვის პირდაპირი სამსახურის საქმეებით, ამას გარდა ბოქაულნი აქამდისინ კომიტეტის წევრთა დაუკითხავად აწარმოებდნენ ქსენონის სამეურნეო ნაწილს, აუარებელი ფული მათ ხელში უანგარიშოდ იხარჯებოდა, ამიტომ არის, რომ დღესაც არ ვიცით, რა იქნა ქსენონის ორმოც-სამოცი თუმანი, რომელ ბოქაულის ხელში გაიარა მაგ ფულებმაო. ყოველივე ამ მოსაზრების წყალობით იყო, რომ 1905 წლიდან ქვემო-მაჩხაანის ქსენონის გამგე კომიტეტის წევრთ ნება მიეცათ, მაზრის უფროსის იგნატიუსის წარდგენისამებრ, თავისს შორის ამოირჩიოს ხოლმე მას შემდეგ თავმჯდომარენი.

მოისმინა რა მომრიგებელმა-შუამავალმა ამილახვარმა ქვემო-მაჩხაანის ქსენონის კომიტეტის წევრთა ესეთი გარდაწყვეტილება, შეჰპირდა თავის მხრივ იშუამდგომლოს ტფილისის გუბერნატორთან, რათა აწინდელი თავმჯდომარე კომიტეტისა იაკო მენთეშაშვილი დასტოვონ თავის თანამდებობაზე...

როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველთ მოეხსენებათ მომავალის წლის 13 იანვრიდგან გადაწყვეტილია გაიხსნას სოფელ-ქვემო-მახჩაანში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამისათვის სავალდებულო ხუთასი მან. კარგა ხანია წარდგენილია სადაც ჯერ არს. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოწერილობის თანახმად, რომელიც ითხოვს ქიზიყის სოფლის საზოგადოებათაგან სამის წლის განმავლობაში შესაფერისად მოწყობილის შენობის მიცემას განყოფილებისათვის, 18 ივლისს აქაურ სოფლის საზოგადოების რწმუნებულთ ხელშეკრულობის ქაღალდი დაუწერეს აზნაურს ივანე ნოდარის ძე გომელაურს, რათა 13 მომავალ იანვრისათვის მოამზადოს შესაფერი შენობა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისათვის. სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულნი გომელაურს წლიწადში აძლევდა სახლის ქირად სამოც თუმანს... ასე, რომ ეს საქმეც შეიძლება მოწესრიგებულად ჩაითვალოს...

ამ ორი-სამის დღის წინედ ჩამოვიდა მემუსიკე ნიკო სულხანიშვილი, რომელიც მოწადინებულია ჩასწეროს დარჩენილი საეკლესიო ძველი კილოები. ჯერ-ჯერობით მან. ს. ქვემო-მაჩხაანში რამდენიმე საგალობელი ჩასწერა განზრახვა აქვს დაიაროს ქიზიყის ყველა სოფლები, ველისციხემდე...

საშინელი სიცხეებია ჩვენსკენ. მთელი ქიზიყის სოფლები სიცხის ბურუსშია გახვეული. მზეს თითქმის მოაკლდა ბრწყინვალება, მთვარესავით და მოსხანს ბურუსის ღრუბლებს ამოფარებული...

X.

და დაუწყვია ხეირნობა ჯურღმულის სამეფოში. გზაში რაც დახვდება ყველაფერს იტაცებს, ჰგლეჯავს, ანადგურებს და ვაი იმ სულიერს, რომელიც წინ შეეხეჩება. სტიქიური ძალა ყველაფერს გაანადგურებს მას ვერ შეიმაგრებს ხელოვნური სიმაგრე, ადამიანს ნაფოტივით დაატრიალებს, გაჰგუდავს წყლით და მის დამახინჯებულ გვამს აქეთ-იქით მიაქეთქ-მოახეთქებს. კოსტინმა და ვლადიკინმა კარგად იცოდნენ ყველა ეს, მაგრამ როგორ ეხსნათ თავი ამ უბედურებისაგან არ იცოდნენ.

— გუ—გუ—გუ—გუგუნი კვლავ შემოესმათ მაღაროში მომწყვდეულებს.

— ჩვენები ყვირიან.

— სად არიან მერე?

— ღმერთმა იცის, სად არიან.

— რა ვქნათ, უნდა გავიქცეთ.

— მერე სად გავიქცეთ?

თუმცა ბნელოდა მაინც გაიქცნენ. ბნელაში ხან კლდეებს ეჯახებოდნენ, ხან გუბეებში ცვივოდნენ, ტლაპოში ითხუპნებოდნენ, დრო გამოშვებით კედელს ეჯახებოდნენ, გზას ვეღარ პოულობდნენ გაოგნებულები უკანვე ბრუნდებოდნენ—იქ ტაჩკას დაეჯახებოდნენ ან გაუვალს კედელს, ხან ოთხზე ფოფხვით ვაივაგლახით გამოძვრებოდნენ, სწორე გზას იპოვიდნენ პატარას ივლიდნენ და ისევ ძველ სატანჯველში ვარდებოდნენ. ნახშირისა და კლდის ნანგრევებზე თავ-პირი და ხელ-ფეხი დაეკაწრათ, ტანისამოსი შემოეფლითათ. ხმაურობა კი თანდათან ორკეცდებოდა, მატულობდა.

* * *

ვლადიკინმა და კოსტინმა გასწიეს კიდევ წინ... რაღაცა მძიმეს წააწყდნენ!... ეს იყო კალატოზთა სასწორი. ეს ადგილი სახუმარო არ იყო; ვინც მაღაროებში ყოფილა—იმას ეცოდინება საქმე რაშიაც არის. კლდის ქანი რომ ჩამოეშვება გასავალს ისე შეავიწროებს რომ შიგ გასვლა შეუძლებელი ხდება. ჩამოშვებული კლდის ნატეხები ოდნავ შენძრევაზე იქუხებენ და მთლად ჩამოინგრევა. მოჰყვება შიგ ადამიანი და ვეღარ იხილავს ცის იერსა.

ახლა რა ვქნათ, რომელი უნდა გავიდეს?...

— აბა, ზედამხედველო, სთქვა ვლადიკინმა, და თან ყელში სული ეჭყინებოდა,—შეევედრე გამჩენელს, გაწექ და დაიღუპე. აქ, ქვესკნელში მე ვარ ბატონი, იქ, ზევით კი შენ გქონდა ძალა და ბატონობა.

კოსტანი გაჩუმებული იყო. მართლაც კარგად გრძნობდა იგი, რომ მხოლოდ იქ, მაღლა ჰქონდა მას ძალა, აქ კი—ვლადიკინს. კარგად იცოდა ისიც რა წამსაც წინააღმდეგობას გაუწევდა-ვლადიკინს იმ წამს ერთი მუშტის შემოკვრით ძირს დააწვენდა.

— გასწი, იცოცხლე, იცხოვრე, მე კი აქ დავიღუპები... არა შესდეგ... დაიცა... აი...—კოსტინმა ხელის კანკალით გაიხსნა „ტუჟურკა“, ყელიდან მოიხსნა პატარა ჯვარი,—აი ეს ჯვარი პავლეს წაუღე, ჩემი ლოცვა კურთხევაც გადაეცი, აი ესეც გადაეცი მას საცხოვრებლად—ვლადიკინს მისცა მომგებიანი წიგნაკი.—ეს არის ჩემის დიდის ჯაფის მონაგარი, შავი დღისათვის მოგროვილი გროშები.

— პავლეს... მაგრამ, ჰო, არა... შენ ხომ მარტოხელი არა ხარ, ობლად დავრჩება საწყალი ბიჭი, მე კი, სულ მარტო გავატარე ჩემი სიცოცხლე. მაშ გასწი, მე დავიღუპები—სთქვა ვლადიკინმა.

სიხარულისაგან აღტაცებული, ზედამხედველი, ფეხებში ჩაუვარდა ვლადიკინს, ორივე ხელი შემოაჰხვია, თავი მაგრა მიაყრდნო, მერე უცბად განშორდა და შევარდა ვიწრო გასავალში.

ქარი კი ჰქროდა გაშმაგებით, წყალი ტრიალებდა, გარშემო ყველაფერი ირყეოდა, ილეწებოდა.

კოსტინი ცოცხალი ამოვიდა მაღაროდგან. შეჰყარა ხალხი, მაღაროებში ჩასაგზავნად.

— ფულს არ დავზოგავ, ოღონდ ვლადიკინიც ცოცხალი ამოიყვანო... აბობდა იგი.

— იმან ჩემი პავლესათვის თავი გასწირა, სიცოცხლე არ დაზოგა, დაიღუპა მაღაროში.

მაღაროებში გაცხარებული მუშაობა იყო, ისმოდა ნიჩბების, რკინის კეტების კაკუნი, რის ვაი ვაგლახით მიაღწიეს იმ ადგილს; ვლადიკინი ამოიღეს მიწიდან, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა.

დიდის პატივით დამარხეს. ზედამხედველი კოსტინი არაფერსა ჰზოგავდა. საფლავზე დადგეს ლამაზი მუხის ჯვარი წარწერით: „აქ განისვენებს მოყვარისათვის თავ-განწირული მუშა ვლადიკინი“

კოსტინი ამის შემდეგ უფრო გულჩათხრობილი და დაფიქრებული გახდა, სულით კი გასპეტაკდა და გული მგრძნობიარე გაუხდა. მისი გამოცვლა მუშებმაც იგრძნეს. ახლა იგი მათ ალერსით და სიყვარულით ექცეოდა. პატარა პავლე ლოცვაში ყოველთვის იხსენიებდა ვლადიკინს.

ასე გამოსცვალა კოსტინი ვლადიკინის თავგანწირულმა სიკვდილმა, მის გულში გაეღვია სიბრალულის ნაპერწკალი და სიმართლემ სძლია ბოროტებას.

ა. ახალშენიშვილისა.

ეფრემ-ხანის მოგონებანი

1.

„საკვირველს ადამიანს“, სპარსეთის რევოლუციის გენერალს, რომელიც ქურთებთან ბრძოლის დროს, ექვს მაისს დაიღუპა, „ამხანაგს ეფრემს“ მოგონებანი დაუტოვებია. მოგონება სომხურად არის დაწერილი. ეფრემი მოკლედ და სხარტულად აგწერს რევოლუციის ამბავს და იმას, რაშიაც თვითონ მიუღია მონაწილეობა. აწერილი აქვს მეჯლისისათვის ყუმბარის დაშენისა და მაჰმად-ალის ტახტიდან ჩამოგდების ამბავი.

— ჩვენ რეშტში პროკლამაცია გამოვეცით, სწერს ეფრემი. „ჩვენო,“ რომ ამბობს, მხედველობაში ჰყავს „დაშნაკცუტუნის“ პარტიის კომიტეტი, სპარსეთში ეფრემი უბრალო მუშად იყო, მაგრამ რევოლუციამ ამოატივტივა ზემოდ რკინის ხასიათისა და საკვირველი ენერგიის ადამიანი.

ეფრემის მოგონება ვერ იძლევა, რასაკვირველია, სპარსეთის რევოლუციის სრულს სურათს, მაგრამ ბევრს ახალს გვეუბნება და ნათელჰყოფს, მაგალითად, მაჰმად-ალის რუსეთიდან დაბრუნების მიზეზსა.

* * *

1908 წლის 10 ივნისს, სპარსული პროკლამაცია გამოვეცით რეშტში. პროკლამაციის გამოცემა გამოიწვია მეჯლისისათვის ზარბაზნის დაშენის ამბავმა: პროკლამაციაში აღნიშნული იყო რევოლუციის მიზანი და ღონისძიებანი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მთავრობის და დესპოტიზმის დამხობა. ამავე პროკლამაციით მაჰმედ-ალისაც ვეუბნებოდით: რევოლუცია არ მომკვდარა და ისევ განვაგრძობთ ბრძოლას თავისუფლებისათვისაო.

სპარსელ ამხანაგებთან ერთად დავაარსე შერეული კომიტეტი, რასაც, თავრიზის გმირ სათარხანის პატივსაცემლად „სათარი“ დავარქვით. ამ კომიტეტში ოთხი სპარსელი იყო და სამი დაშნაკცაკანი. კომიტეტი ხან ისპობოდა ხოლმე, ხან ისევ წამოჰყოფდა თავსა. კომიტეტმა თავის დროს დიდი ღვაწლი დასდვა სპარსეთს.

„სათარის“ კომიტეტს დაარსებისთანავე სოციალ-დემოკრატიული ელფერი ჰქონდა. ეს იმით აიხსნება, რომ იმჟამად ძალიან ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი ჩამოსულიყო რეშტში და კომიტეტზე ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, კომიტეტის პროგრამა მაინც არ შეცვლილა.

ბოლოს და ბოლოს კომიტეტმა მიზანს გადაუხვია, მე რეშტი მივატოვე და ენზელს გავემგზავრე, სადაც ახალი კომიტეტი შევადგინე, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამას ადგა.

„სათარის“ კომიტეტმა სოციალდემოკრატობა დაიჩემა და ამნაირი ბეჭედიც გაიჩინა. ჩემ მიერ შედგენილ კომიტეტს „ბარგს“ ურთიერთობა არ შეუწყვეტნია „სათარის“ კომიტეტთან, მაგრამ როდესაც სოციალდემოკრატების ბეჭედ დაკრული ქაღალდი მოგვივიდა, ჩამოვშორდით, მათი პროგრამა ვერ ვიწამეთ და დამოუკიდებლად ვმუშაობდით.

კავკასიიდან საიდუმლოდ დავიწყეთ იარაღის გადმოტანა. იარაღის ფულს თანამგრძნობი სპარსელები გვაძლევდნენ. ჩვენს ორგანიზაციას იარაღისათვის კაპეიკიც არ დაუხარჯნია.

ჩვენის მეცადინეობით ქართველ და სპარსელ რევოლუციონერთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა ენზელში.

ენზელის საბაჟოს საწყობში 12 ათასი ახალი სისტემის თოფი გვეგულებოდა. იყო ოთხ მილიონამდე პატრონა. გადავწყვიტეთ ამ იარაღის ხელში ჩაგდება. ბევრს ვეცადენით, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

რეშტში გავგზავნეთ რაზმი, რომელშიაც 35 ქართველი და 20 სპარსელი სომეხი იყო,

იარაღი გვაკლდა. სულ შეიარაღებული გვყავდა 20 ქართველი, 10 სომეხი და სამი სპარსელი. სპარსელებს რვა მაუზერი გამოვართვი და ქართველებს გადავეცი. დანარჩენ ქართველებს ახალი სისტემის თოფები ჰქონდათ, მთავრობასაც ძალიან ცოტა ჯარი ჰყავდა რეშტში.

გადავწყვიტეთ გუბერნატორის ბინას დავცემოდით. გუბერნატორის სახლი წარმოადგენდა „დარხანას“, მიხვეულ-მოხვეულ კიბეებსა და გზებსა. უცხო კაცი ადვილად დაიკარგება ამისთანა სახლში.

1909 წლის 26 იანვარს, გუბერნატორი ალა-ბალახანი ბაღში გავიდა და სტუმრებთან თამაშობდა. შინაურებს, ჩვეულებრივ, ყველას ეძინა, რადგან სადილობა გადასულიყო. მოზი-სალტანე გავგზავნე და 15 ქართველი გავაყოლე გუბერნატორის მოსაკლავად: თვითონ მე გუბერნატორის სახლი უნდა ამეღო. გუბერნატორის დირაჯებთან სამი საათის განმავლობაში შეუწყვეტელი ბრძოლა გვქონდა, რის შემდეგაც ქალაქი ხელთ ვიგდეთ. ამასობაში ქართველებს გუბერნატორი მოეკლათ კიდევაც. ჩვენ მოგვიკლეს: ერთი ქართველი, ერთიც სპარსელი

(„რ. ს.“)

სხვა და სხვა ამბავი

სხვა და სხვა ცხოველთა ნაწილების შეხორცება,

ცნობილ ამერიკელ მეცნიერ ალექსის კარელის ერთ მოწაფეს, დოქტორ კლარკს ფრიად საგულისხმიერო ცდა მოუხდენია. მეცნიერი კარელი როკფელერის ინსტიტუტში მუშაობს, იგი ცდილობს ისეთი სახსარი გამონახოს რომ სხეულის დასნეულებული უჯრედი საღის უჯრედით შესცვალოს. ამ მიზნით იგი იკვლევს ორგანიზმის დამოუკიდებლად უჯრედის სიცოცხლის პირობებს. მისმა მოწაფემ-კი დოქტორმა კლარკმა საკითხის მეორე მხარესაც მიაქცია ყურადღება, სახელდობრ უჯრედების შეხორცებას. ბოტანიკაში ამის ანალოგიური მოვლენა დიდი ხანია ცნობილია; ვის არ უნახავს დამყნილი ხე-ხილი—ხოლო დოქტორ კლარკ ასეთი რამ გველის კუდებზე უცდია. ორი სხვა და სხვა ჯიშის გველისთვის მოუჭრია კუდი და შეცვლით მიუბამს ერთი მეორისთვის. კუდები მალე შეჰხორცებია ახალ ორგანიზმებს და სრულიად ჯანსაღად გაერთიანებულა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

27 ივლისი.

ოსმალეთი და ჩერნოგორია.

სტამბოლი. ჩერნოგორიის ელჩმა პორტას განუცხადა, ჩერნოგორიის ჯარი მაიკოვეციდან გამოვაბრუნეთო. საზღვრის გამო ატეხილი დავის გადაწყვეტა შორეულ კომისიას მიანდეს.

ვენა. „ცეიტში“ დაბეჭდილია ალბანეთის კარგად მცოდნის წერილი, რომელიც ამტკიცებს, ჩერნოგორიას სკუტრის ხელში ჩაგდება ჰსურსო. შეიძლება მოეწიონ კიდეც მიზანსა, რადგან ალბანელი კათოლიკენი დიდ დახმარებას უწევენო.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

რომი. „სტეფანის სააგენტოს“ ტრიპოლიდან ატყობინებენ, 1000 არაბი ზანზურს თავს დაესხა. არაბები დამარცხებულან და 200 კაცი დაუკარგავთ. ბრძოლის დროს იტალიელთა ჰაეროპლანიდან ყუმბარებს ისროდნენ.

ზუარიდან იუწყებიან, ოსმალებმა მთლად მიანგრ-მოანგრიეს აქაურობაო.

ყალმიყების თხოვნა.

ურგა. რუსეთის საზღვარზე გადმოვიდა 116 ოჯახი ჩინეთის ქვეშევრდომ ყალმიყებისა. სუტუხტასა სთხოვენ, ხალხის ქვეშევრდომად ჩაგვთვალეთო და ურგაში დასახლების ნება მოგვეცითო.

პეკინი. დააპატიმრეს 7 კორეელი; ამბობენ, მთავარ კაცურას მოკვლა სწადდათო. დაპატიმრებულნი თიანძინს გაგზავნეს და იაპონიის საკონსულოში გამოჰკითხავენ.

კულჯა. ამბოხებულ მონღოლთათვისა და ილიის ოლქების გაერთიანებას აპირებენო. „ჩუგუჩაგის“ თანამდებობის პირთა შეცვლას აპირებენ.

რუზველტი.

ჩიკაგო. დიდი ოვაციები გაუმართეს პროგრესიულ პარტიის წევრებმა რუზველტს და საპრეზიდენტო კანდიდატად აღიარეს.

ლოკაუტი.

ბრუნი. მაუდის ქარხანათა პატრონებსა და მუშებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. პატრონებმა ქარხნები დაჰკეტეს და ლოკაუტი გამოაცხადეს.

რუსეთი

ბეჭდვითი საქმე.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ სუდაკოვს 3 თვის ციხე გადაუწყვიტა ლ. ტოლსტოის წიგნის „სად არის ხსნას“ გამოცემისათვის.

„რუსკი რაბოჩის“ რედაქტორს საფინოვს 129 მუხლის ძალით ერთი წლის ციხე გადაუწყვიტეს.

ჩამოხრჩობის გადაწყვეტა.

სევასტოპოლი. მატროსს პოლონსკის, რომელსაც კაპიტან ვიტკოვსკის მოკვლა ბრალდებოდა, სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

პუანკარეს ჩამოსვლა.

პეტერბურგი. პუანკარეს ჩამოსვლის გამო გაზეთ „როსიაში“ მისალმების წერილია დაბეჭდილი და იმედს გამოსთქვამს გაზეთი: უეჭველია, ამიერიდან, საფრანგეთ-რუსეთის კავშირი უფრო გამტკიცდება, ფეხს მოიკიდებსო. ეს კავშირი და მეგობრობა კი ყოველთვის თავდები იქნება ევროპის მშვიდობიანობისაო.

უცხოეთი

ალბანეთის აჯახყება.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა აჯანყებულთა მეთაურებთან მოლაპარაკების გამართვა და შესათანხმებელ მუხლების გამორკვევა, სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. თუმცა ალბანელებმა პირველ ხანებში უარი სთქვეს ვიწრო ნაციონალურ მოთხოვნებზე და ზოგადი, საიმპერიო საჭიროებანი წამოაყენეს, როგორც მაგ., უკანონოდ არჩეულ ძველ პარლამენტის დათხოვნა, რაც უკვე სისრულეში მოიყვანა მუხტარფაშის მთავრობამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მშვიდობიანობის ჩამოგდება მაინც ვერ მოიგონდა. ვინც კი დაკვირვებით ადევნებდა თვალ-ყურს ალბანეთის უკანასკნელი აჯანყების ამბებს და იცის თუ რა მნიშვნელობისაა მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად წამოყენებული საჭიროებანი, იმისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს ის შედეგი, რომელიც ხსენებულ შემარიგებელ კომისიას მოჰყვა. კომისიის დანიშვნა და მის მიერ აჯანყების მიზეზთა გამოკვლევა პალიატივი იყო, პალიატივი, რომელიც არც დროს შეეფერებოდა და არც გარემოებას. ამ გვარი კომისია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მრავალი ინიშნებოდა, მიდიოდა ადგილობრივ, დაიბარებდა ალბანეთის თემთა მეთაურებს, ჩინოვნიკური წესით გამოჰკითხავდა მათ უკმაყოფილების მიზეზს — თითქოს ცენტრალურმა მთავრობამ არ იცოდა ნამდვილი მიზეზი ალბანელთა ამბოხებისა და საქმეც ამით თავდებოდა. მრავალ-გზის გამოსცადეს მეამბოხეებმა ამგვარ კომისიების ნაყოფი და დარწმუნდნენ, რომ მათგან ვერასოდეს ვერ ეღირსებიან ჰირთა კურნებას, რადგან მთავრობისაგან გამწვავებულ დროს დაპირებული შეღავათი, რომელიც უფრო იძულებით იყო ხოლმე გამოწვეული, ვიდრე ქვეყნის ნამდვილ საჭიროების შეგნებით, მუდამ ალთქმად რჩებოდა. ამიტომ მუხტარ-ფაშის უკანასკნელ კომისიასაც იგივე ბედი ეწია, რაც წინანდლებს. ალბანეთის ცხოვრება და მდგომარეობა ისეთ რეფორმებს და გაუმჯობესობას მოითხოვს, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ ნამდვილ დემოკრატიულ საკანონმდებლო დაწესებულებას შეუძლიან. ალბანელების მიერ წამოყენებული მოთხოვნანი მხოლოდ ალბანეთის საკითხი კი არ არის, არამედ საკითხია მთელი იმპერიის ყოფნა-არ-ყოფნისა. ოსმალეთის დღევანდელი მდგომარეობა, რო-

გორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ისეთია, რომ იგი აუცილებელი გზით მიილტვის მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა და სხვა ერის უფლებათა გათანასწორებისაკენ. ალბანეთის ხანგრძლივი უკმაყოფილება და ქრონიკული აჯანყებანი მხოლოდ ავსტრო-უნგრეთისა, ან სხვა რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს ინტრიგებითა და წაქეზებით კი არ ხდება, იგი შედეგია ქვეყნის ნამდვილ საჭიროებისა და დიდი ხნის ტკივილებისა. თუ კი ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის კეთილდღეობისათვის საჭიროა მის შემადგენელ ნაწილთა მჭიდრო კავშირი და მთლიანობისა შეგნება, რომლის განმტკიცებისათვის ამდენი უდანაშაულო სისხლი დაღვარეს, დღეს სასტიკად დამარცხებულმა, ახალგაზრდა ოსმალებმა, ისიც ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ ამ მძლავრ მთლიანობას სახელმწიფო მიაღწევს მხოლოდ ფართო დეცენტრალიზაციის განხორციელებით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ალბანეთთან ერთად არაბეთი, მაკედონია, ლაზისტანი, სომხები და სხვა ერები მიიღებენ ფართო ავტონომიურ თვითმართველობას, მხოლოდ მაშინ დადგება ბრწყინვალე ხანა ოტომანთა იმპერიის აღორძინებისა და ძლიერებისა. დღეს სხვა გზა მისთვის არ არსებობს. შემრიგებელი კომისიები და სხვა ნახევარ-ზომები ვერ გააცოცხლებენ სამარის კარად მიმდგარს სახელმწიფოებრივ სხეულს. ამას ჰმოწმობს ახალგაზრდა ოსმალთა ოთხი წლის თავგანწირული ჰაპან-წყვეტა, ამასვე ცხადად ამტკიცებს დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა, რომლის მიზეზებიც სწორედ ზემოდ დასახელებულ, დეცენტრალიზმის პრინციპის დავიწყებასა და უარყოფაში იმალება. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი სამინისტრო, რომლის უმეტესობაც პოლიტიკაში ფედერალიზმის პრინციპის მომხრეა, სწორედ აქეთკენ მიჰმართავს მართველობის საქმეს და მით იხსნის ქვეყანას აუცილებელ დაღუპვისაგან, რომელსაც პირდაღებულ მოუთმენლობით ელიან მადაგალვიძებული მისი მეზობლები.

თეატრი და ხელოვნება.

ქიათურა. პარასკევს, 20 ივლისს გამართა ქართულ-ბერძნული წარმოდგენა.

ადგილობრივმა მსახიობებმა და სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ა. ყაზბეგის სამ მოქმედებიანი პიესა **„არსენა“** და ბერძნულ ენაზე 1 მოქმედებიანი ვოდევილი **„ავტოხირიასტო“** ათინელ მსახიობ ი. ავლონიდის მონაწილეობით.

დიდი შრომა და მეცადინობა ეტყობა ბერძენ მსახიობ ავლონიდს. მან თავიდან ბოლომდე უნაკლულოდ ჩაატარა არსენას როლი.

კარგი იყო ქ-ნი ლოლუა ნინოს როლში. პეტრე პეტრიაშვილს (არსენას ნათლიმამა) შესაფერისი როლი ედო და მშვენივრადაც ჩაატარა.

არა უშავდა რა ის. ვარაზაშვილს მებატონე გარსევანის როლში.

წარმოდგენის წინ საგანგებო ტანისამოსიანმა ათინელ მსახიობი. ავლონიდმა ბერძნულად მშვენივრად წაიკითხა კუპლეტები, რისთვისაც ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ნასიამოვნები დარჩა დამსწრე ბერძენთა საზოგადოება ვოდევილ „ავტოხირიასტის“ წარმოდგენით. თეატრის შენობა თითქმის სავსე იყო ქართველ და ბერძენთა საზოგადოებით.

შაბათს, 21 ამ თვეს, დანიშნული იყო აკაკი პაპავას **ლექცია** „ძველი და ახალი მწერლობა ჩვენში“. მაგრამ ხალხის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

კვირას, 22 ივლისს წარმოადგინეს დ. მესხის სამ მოქმედებიანი მხიარული კომედია **„სიკოია დენშჩიკი“**.

ბ-ნ ვალიკო შალიკაშვილის მოხდენილმა თამაშმა („დენშჩიკის“ როლში) ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

წარმოდგენა გათავდა ღამის 11 საათზე.

ხალხი საკმაოდ დაესწრო.

კვირას, 29 ივლის, დანიშნულია **უკანასკნელი გამოსათხოვარი ბენეფისი ბ-ნ ვალ. შალიკაშვილისა და ქ-ნ ნ. ჯავახიშვილისა.** წარმოდგენილი იქნება **„სამშობლო“**.

იმედია ქიათურის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ხსენებულ პირების ამაგს და თავის დასწრებით პატივსა სცემს. ბ.

წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის“ რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვ მიიღოს სურამის მასწავლებლების წვლილი—ექვსი მანეთი **იაკობ გოგებაშვილის** ფონდისთვის.

სია შემომწირველთა: ეკატერინე არდიშვილმა, ანნა ბებიაშვილმა, კოწია გაგუამ, მარიამ ჩხეიძემ, ნინო ხიდირბეგიშვილისამ და ანნა ხიდირბეგიშვილმა—ყველამ თითო მანეთი.

პატივის ისცემით **კოწია გაგუა.**

„სახალხო გაზეთში“ ბ. ახალციხელი, გამოსთქვამს მწუხარებას იმის შესახებ, რომ განსვენებულ იაკობ ს. გოგებაშვილის ორმოცის წირვას და პანაშვიდს დაესწრო მეტად მცირე საზოგადოება და წირვა შერეული იყო, თუმცა წ. კ. ს. გ. ერთი კვირით წინეთ შეატყობინა ახალს წინამძღვარს იოსებ მირიანოვსო.

ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ ეკლესია სავსე იყო ხალხით წირვის დაწყებამდე. მხოლოდ ძრიელ ცოტა იყო ქართველი მლოცველი. ჩვეულებისამებრ (რადგანაც კვირა დღე იყო და დღესასწაული წმ. ვლადიმირისა) წირვა შერეული იყო სახარების წაკითხვამდის რუსულად. მერე კი, როდესაც საზოგადოებამ მთხოვა, წირვა ბოლომდე ქართულად შესრულდა.

დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი
დეკ. ი. მირიანაშვილი.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს გაზეთში. ქუთ. ქართ. გიმნ. მოწაფე-ექსკურსანტები დიდ მადლობას უცხადებენ გიმნაზიის მართველს ი. ოცხელს, მასწავლებელ დ. ქუთათელაძეს, მგოსან აკაკის, ანტონ ფურცელაძეს, ნ. ლომაურს, ისაია ფურცელაძეს, ალ. მაჩაბელს, დუტუ მეგრელს, ან. ერისთავ-ხოშტარიასას, ია ეკალაძეს, „სახალხო გაზეთის“ თანამშრომელთ დავიწყებულს (ვ. პაატაშვილს) და სან-გაბიძეს, დ. თურდოსპირელს, მიხ. ახალბედაშვილს, თელავის სამოქალაქო სასწავლ. ინსპექტორ ცისკარიშვილს, დ. კაკაბაძეს, მიხ. წულუკიძეს, შუამთის მონასტრის წინამძღვარს მ. ნიკოლოზს, ფოტოგრაფ ბარკალაიას, არჩილ და მიხ. საყვარელიძეებს, ელიბო ვახვახიშვილს, გაბრო ცისკარიშვილს, ივანე ეპიტაშვილს, გიორგი და ლევან ბერიაშვილებს, ივანე ვაჩნაძეს (ახოს), ექიმ მირიანაშვილს, ფერშალ გურგენიძეს, ვიქ. იდგაროვს, ეფრემ ლორთქიფანიძეს, მღვდლებს იმნაიშვილს და ასათიანს, დიმ. ანთაძეს და სხვ... რომელნიც დიდ დახმარებას გვიწევდენ მოგზაურობის დროს.

ქუთ. ქართულ გიმნ. მოწაფე—ექსკურსანტები.

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

„სახალ. გაზ.“ № 659 სათაურით „ქართული პრესა“ გადმოღებულია გაზ. „კოლხიდიდან“ აღწერა თუ რა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს სოფელში ეგრედ წოდებული „ტირილი“. სხვა სოფლებისა რა მოგახსენოთ და მე, როგორც გურული, მოგახსენებთ შემდეგს:

სოფელ ლოხოურში (გურია) ამ ათი წლის წინად სოფლელებმა დაადგინეს არავითარი ქელეხი არ გაუმართონ მიცვალებულს და ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს ჯარიმა 50 მან. გადახდება. ნამდვილად ვიცი, რომ ეს დადგენილება ჯერ არავის დაურღვევია. მარტო იმათ აძლევენ სადილს ვინც 15—25 ვერსიდან მოვა მიცვალებულის პატივსაცემლად. **ლოხოურელი.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ნება გვიბოძოთ, თქვენი გაზეთით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ვეტცელის სასტუმროს გამგეს **ბ-ნ ნოე გლახუნის ძე სიხარულიძეს,** რომელმაც კეთილ ინება და ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს გამოუწერა 15 მანეთის ჟურნალ გაზეთები დამლევ ამა წლამდე.

ზემოხსენებული სიხარულიძე სხვაფრივ დახმარებასაც გვპირდება სამკითხველოსთვის.

ჩოხატაურის სამკითხველოს გამგეობის წევრნი: **ბარ. მეგრელიძე მღ. თ. მეგრელიშვილი, გრ თავდგირიძე, პარ ჭანიშვილი.**

ჩვენი ფოსტა.

მახარაძე. N—ს. თქვენი „ნაწრთობი“ მივიღეთ. ჯერ არ წაგვიკითხავს.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 I—II კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 11 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და სახ. № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ ტფილისში ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოხიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 4, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ მირტუმოვი. (თ. 1037.41)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშოდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—88)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში



მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხ. აც. საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.

(25.549.7)

ბ. ა. ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება **კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტიხიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. 1078.11)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № [illegible]

სახელოსნო და საწყობი ძეგლებისა.

ძმ. აგლაძეების.
მიხეილის პროსპ. № 48.

ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბრადორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწვდომ ფასებში.

(0.—522—14)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი
წამალი
„SALO-[illegible]“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონიერულ საშუალებად ითვლება. [illegible] მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. разъѣжая. № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საათიქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ.1161.15)

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

◆ გამოსულია და იყიდება ◆

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

სნეულნო!

უფრთხილდით სიყალბეს!

რადგანაც **„სპერმინის“** იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს, მხოლოდ **„სპერმინ-პელა“** აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:

სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

Органотерапевтическій Институтъ Профессора Доктора Пеля съ Сыновей С.Петербургъ
ESSENTIA
SPERMINI-POEHL
Sec
TONICUM
PHYSIOLOGICUM
St.PETERSBOURG
RUSSIE
Prof. DR. DE POEHL

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ
ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ВЬЯ
ПОСТАВЩИКИ ДВОРА
ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 ЛИНІЯ 18.

Метцль. № [illegible] (12.1208.12)

ფეხსაცმელი

ე. ა. ცატუროვის

დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

(40—1400—3)

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.14)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ყურადღება!

(წ.1131.217)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,**

გირვანქა 1 მ. 60 კ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“